განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ტურიზმი, ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

შეფასების თარიღ(ებ)ი 06.12.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი 03.02.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ტურიზმის ბაკალავრი, 1015
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებულია 25/02/2015, 30 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა დევიძე, პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ხოხობაია, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიანა იმნაძე (,,მითი ტურის'' აღმასრულებელი დირექტორი)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფო გულედანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (სეუ) ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2010 წლიდან. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია შრომის ბაზარს მიაწოდოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და დემოკრატიულ-ჰუმანურ ფასეულობებზე ორიენტირებული სპეციალისტები ტურიზმში, რომელთაც ექნებათ თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში პროფესიული საქმიანობის შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შედგება ძირითადი/სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი სასწავლო კურსებისაგან (საბაკალვრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი) და მისი აკადემიური დატვირთვის მოცულობა ითვალისწინებს 240 ECTS კრედიტის დაგროვებას). ძირითადი სასწავლო კომპონენტების ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის საბაზისო კურსებს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მისთვის მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის მიზანში გათვალისწინებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც პროგრამის განხორციელების დონეზე გამოიხატება სასწავლო კურსების ინგლისურ და გერმანულ ენებზე შეთავაზებით, უცხოელი პროფესორების მოწვევით და უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამის (სემესტრი) შეთავაზებით.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ასევე, საერთაშორისო ბაზარზე არსებულ ტენდენციებს და კურსდამთავრებულებს აძლევს განათლების შემდეგ საფეხურზე მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში განხორციელდა 2019 წლის 6 დეკემბერს. ვიზიტამდე, 4 დეკემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (ეკა დევიძე, მერაბ ხოხობაია, მარიანა იმნაძე, სოფო გულედანი), შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა დააზუსტეს არსებული კითხვები ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის და თანმხლები დოკუმენტაციის ირგვლივ და წარმოადგინეს მოსაზრებები.

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი 6 დეკემბერს დღის წესრიგის მიხედვით დაიწყო. ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან მიმდინარეობდა დღის წესრიგით გათვალისწინებული შესაბამისი დროის და ინტერვალის დაცვით, კერძოდ: შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძვანელ(ებ)თან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და დაწესებულების/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელ(ებ)თან. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – ბიბლიოთეკა (წიგნადი ფონდი), აუდიტორიები და ა.შ. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში დიალოგის რეჟიმით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ტურიზმის სფეროს, როგორც ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან დეტერმინანტს მიაწოდოს სპეციალისტები, რომლებიც შექმნიან ღირებულებას, როგორც ცალკეული ორგანიზაციის, ისე მთლიანად საზოგადოებისთვის. ამის წინაპირობას წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში ასათვისებელი სასწავლო კურსები და პრაქტიკული კომპონენტი, რომლებიც ითვალისწინებენ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა აგებულია მარტივიდან რთულისკენ და ზოგადი დისციპლინებიდან - კონკრეტულ ქვედარგებამდე, რაც გულისხმობს პროგრამის სავალდებულო კომპონენტში ტურიზმის ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის აუცილებელი სასწავლო დისციპლინების საჭირო მოცულობით სწავლებას, პროგრამის არჩევითობის უზრუნველყოფას ტურიზმის სხვადასხვა ქვედარგის მომცველი საბაკალავრო საფეხურისთვის ადეკვატური, მრავალი არჩევითი სასწავლო კურსის შეთავაზებას, ხოლო პროგრამის დამთავრებისას პრაქტიკული და კვლევითი უნარების განმტკიცებას.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა აგებულია მარტივიდან რთულისკენ და ზოგადი დისციპლინებიდან - კონკრეტულ ქვედარგებამდე, რაც გულისხმობს პროგრამის სავალდებულო კომპონენტში ტურიზმის ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის აუცილებელი სასწავლო დისციპლინების საჭირო მოცულობით სწავლებას, პროგრამის არჩევითობის უზრუნველყოფას ტურიზმის სხვადასხვა ქვედარგის მომცველი საბაკალავრო საფეხურისთვის ადეკვატური, მრავალი არჩევითი სასწავლო კურსის შეთავაზებას, ხოლო პროგრამის დამთავრებისას პრაქტიკული და კვლევითი უნარების განმტკიცებას, შესაბამისად, პრაქტიკული და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტის შეთავაზებით.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ) პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად იყენებს უნივერსიტეტის ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებს. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამის გარე შეფასების მიზნით საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასებინა დარგის სპეციალისტებს. რომლის ფარგლებში მოხდა პროგრამასთან დაკავშირებული მოსაზრებების გაანალიზება.

რეკომენდაციები

- აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებისა და პრაქტიკული უნარების შეძენისთვის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტისთვის გათვალისწინებულია პრაქტიკა, თუმცა რეკომენდებულია კრეკდიტის მოცულობის გაზრდა.
- რეკომენდებულია სასწავლო პროცესი (სასემინარო/პრაქტიკული) მიმდინარეობდეს მცირე ჯგუფებში (25-30), უფრო მეტი ეფექტურობისთვის/ხარისხისთვის და სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობის თვალსაზრისით.
- რეკომენდებულია უფრო მეტი გაცვლითი პროგრამის კომპონენტის ამოქმედება და მეტი შესაძლებლობები სტუდენტებს კვლევით პროექტებში მონაწილეობისათვის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოწვევა საჯარო ლექციებისთვის.
  - სასურველია საერთაშორისო კონფერენციებში სტუდენტთა ჩართულობის ზრდა და მონაწილეობის წახალისება.
  - სასურველია წინაპირობად საბაკალავრო ნაშრომს განესაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

,,საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტი სეუ"-ში აკრედიტაციის ვიზიტის დროს, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი პერმანენტულად მზადაა ყოველწლიურად ინოვაციური მიდგომებით შეინარჩუნოს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული იმიჯი და იმავდროულად წაახალისოს როგორც სტუდენტთა, ისე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოღვაწეობა, საქმიანობა და მხარი დაუჭიროს თითოეულ ინიციატივას. აღსანიშნავია უნივერსიტეტში დანერგილი სტუდენტზე მორგებული სისტემა: სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 4 ცვლაში, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი დრო და სასწავლო კურსის ლექტორი, ასევე სტუდენტი დამოუკიდებლად წყვეტს და ირჩევს სწავლის საფასურის გადახდის პირობებს და ვადებს. ყველა სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 51 ქულიდან დაენიშნოს სტიპენდია, სტუდენტები რომელთა წლიური ქულაა 91-100 თავისუფლდებიან გადასახადისგან. ზოგადად სტიპენდია გამიზნულია სტუდენტთა წახალისებისათვის, რომელიც ერთგვარი საშუალება და წინაპირობაა იმისა, რომ კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. აღსანიშნავია ასევე, ფინალური გამოცდის ჩაბარების სისტემა, სტუდენტი დამოუკიდებლად ირჩევს ცხრილს, გამოცდაზე დაგვიანების შემთხვევაში სტუდენტი არ არის შეზღუდული და იგი LiveSystem-ს მეშვეობით აბარებს გამოცდას- სისტემა თავიდან იწყებს საგამოცდო საათის ათვლას. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება (საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა) წახალისება, საგნის არჩევის შესაძლებლობა ერთ-ერთი საუკეთესო მიდგომა რასაც უზრუნველყოფს. უნივერსიტეტს აქვს წარმომადგენლობითი ოფისები რეგიონებში, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ფინალური გამოცდის ჩაბარება.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2010 წლიდან. ბოლო აკრედიტაცია პროგრამამ მიიღო 2015 წელს. პროგრამაში გათვალისწინებულია ყველა ის რეკომენდაცია, რაც წინა აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა მიერ იყო მოცემული. კერძოდ: თითოეული საგნის სილაბუსში ნათლად და დეტალურად არის მითითებული შეფასების კრიტერიუმების აღწერა ქულების მიხედვით; გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაცია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან. ახორციელებს სტუდენტებისთვის გაცვლით სემესტრების შეთავაზებას, პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების უცხოენაზე შეთავაზებას, უცხოელი ლექტორების მოწვევას.

სავალდებულო სასწავლო კურსები განახლდა სფეროსთვის აქტუალური სასწავლო კურსებით. პროგრამას დაემატა ტრანსპორტის ინდუსტრია ტურიზმში, რესტორნის მენეჯმენტი, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა, სამკურნალო ტურიზმი და რეკრეალოგია, გიდის ხელოვნება, დაჯავშნის საერთაშორისო სისტემები ტურიზმში. არჩევითი კომპონენტი ისეთი აქტუალური სასწავლო კურსების შეთავაზებით: როგორიცაა გასტრონომიული ტურიზმი, გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმში, ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება, ადამიანური რესურსების მართვა ტურიზმში, როგორ ქართულ ისე ინგლისურ ენეზე, რელიგიური ტურიზმი და სხვა .

სასწავლო კურსების სილაბუსებში საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით დაიხვეწა სწავლება-სწავლის მეთოდები, მოხდა შეფასების სისტემის ინდივიდუალიზაცია და კურსის ინდივიდუალურ თავისებურებებზე მორგება, შეიცვალა საგამოცდო ფორმატი.

განახლდა აკადემიური კორპუსი მაღალი კვალფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის შესაბამისად შეივსო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზანი, რომელიც შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებთან, კერძოდ: ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია შრომის ბაზარს მიაწოდოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და დემოკრატიულ-ჰუმანურ ფასეულობებზე ორიენტირებული სპეციალისტები ტურიზმში, რომელთაც ექნებათ თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში პროფესიული საქმიანობის შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები. პროგრამის მიზანია სტუდენტებმა გაიაზრონ ტურისტული ინდუსტრიის როლი და მნიშვნელობა, როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ კონტექსტში; იცოდნენ ტურისტული საწარმოების მართვის საკითხები, შეძლონ ტურიზმის სფეროში მოღვაწეობა, ტურისტული პროდუქტის დამოუკიდებლად შექმნა, შექმნილი პროდუქტის რეკლამირება, მომხმარებლისთვის მიწოდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; ○ საქართველოს ეროვნული უნიევრსიტეტი სეუ-ს ვებგვერდი (seu.edu.ge);
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას და შესაბამისობაშია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ამავდროულად პროგრამაში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) რეკომენდაციები, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც გააჩნიათ პრაქტიკული უნარები: მიზნობრივ-თემატური ტურისტული პროდუქტის შექმნა, ტურების /ექსკურსიების დაგეგმვა, თვითღირებულების გამოთვლა, ფასის დადგენა, ბილეთების დაჯავშნა და ა.შ.
პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი, რომელიც კონკრეტული კომპეტენციების სახით აღიწერა პროგრამის შედეგებში. საერთაშორისო ბაზრის კონტექსტიდან გამომდინარე პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსებად გათვალისწინებული იქნა რესტორნის მენეჯმენტი, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა, გიდის ხელოვნება, დაჯავშნის საერთაშორისო სისტემები ტურიზმში.

ტურიზმის საბაკალავროს პროგრამას გააჩნია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის; განსაზღვრულია სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკრეტული შედეგის მიღწევას. ამის გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება სწავლის შედეგების მიღწევის და შეფასების პერიოდული მონიტორინგი, მისი სამიზნე

ნიშნულებთან დადარება და შედეგების გამოყენება სწავლის შედეგების მიღწევადობის გასაუმჯობესებლად. სწავლის შედეგების შესაფასებლად უნივერსიტეტი იყენებს როგორც პირდაპირ , ისე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი ტურიზმის სფეროს გათვალისწინებით; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (გამოკითხვის შედეგები, ოქმები)
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და რომელიც, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას აღნიშნულ პროგრამაზე და გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას სეუ-ში. უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, კერძოდ; **ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე** ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო

პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ე) უნივერსიტეტი ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მსურველი პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ატარებს გასაუბრებას და უზრუნველყოფს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობას. **მობილობის წესით ჩარიცხვა** 1.ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან / პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად. 2. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი. 3. მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი ან სტატუსშეწყვეტილ პირს, სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ ვებგვერდი (seu.edu.ge).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), პროგრამა შედგენილია ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით და შეფასებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, პროგრამა აგებულია ECTS პრინციპის საფუძველზე და ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური პროფილის ფორმირებას სასწავლო, პრაქტიკული და მცირე სასწავლო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას სპეციალობის, სპეციალობისა და თავისუფალი კრედიტების ბლოკებში, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კომპონენტებით. აქედან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებია (136 კრედიტი), სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (37 კრედიტი), თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები (12 კრედიტი), თავისუფალი სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები (30 კრედიტი) და თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები (25 კრედიტი). პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების სწავლების ენა - ქართულია, ძირითადი სასწავლო მასალები წარმოდგენილია ქართულ ენაზე.

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის გათვალისწინებით პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო კურსები ინგლისურ და გერმანულ ენებზე, როგორიცაა: The Touristic-Recreational Resources of Georgia, ***Hotelmanagement***, ***Gesundheitstourismus***, Kulturtourismus, Kunst der Gästeführung, ***Touristische Ressourcen von Georgien***. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი აგებულია დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო კურსები წარმოდგენილია შრომის ბაზრის შედეგების, პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ა.შ.) რეკომენდაციების გათვალისწინებით, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა დარგის სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ტურიზმის სფეროში არსებული მიღწევები (ტურიზმის სფეროს/დარგის სპეციფიკა) და მისი უზრუნველყოფა ხორციელდება თანამედროვე სწავლება- სწავლის მეთოდებისა და განახლებული ლიტერატურის გამოყენებით.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა აგებულია მარტივიდან რთულისკენ და ზოგადი დისციპლინებიდან - კონკრეტულ ქვედარგებამდე, რაც გულისხმობს პროგრამის სავალდებულო კომპონენტში ტურიზმის ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის აუცილებელი სასწავლო დისციპლინების საჭირო მოცულობით სწავლებას, პროგრამის არჩევითობის უზრუნველყოფას ტურიზმის სხვადასხვა ქვედარგის მომცველი საბაკალავრო საფეხურისთვის ადეკვატური, მრავალი არჩევითი სასწავლო კურსის შეთავაზებას, ხოლო პროგრამის დამთავრებისას პრაქტიკული და კვლევითი უნარების განმტკიცებას, შესაბამისად, პრაქტიკული და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტის შეთავაზებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები; ○ სტუდენტების შეფასებისა და აკადემიური პერსონალის თვითშეფასების შედეგები გავლილი/ჩატარებული სასწავლო კურსების შესახებ; ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია წინაპირობად საბაკალავრო ნაშრომს განესაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსები
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პრაქტიკა (6 კრედიტი) წარმოადგენს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამი ტიპის პრაქტიკა: ტურისტული კომპანია, სასტუმრო და საველე პრაქტიკა, რომელსაც სტუდენტები საკუთარი ინტერესების შესაბამისად ირჩევენ.

პრაქტიკის პროცესი მიმდინარეობს პრაქტიკის ხელმძღვანელთან კონსულტაციების, მენტორთან უშუალო მუშაობის, მისი მითითებებისა და მიცემული დავალებების შესრულების და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატით. სტუდენტი პრაქტიკის ადგილზე ჩაერთვება დაწესებულების პროფესიულ საქმიანობაში, აწარმოებს პრაქტიკის დღიურს და შეადგენს პრაქტიკის ანგარიშს. პრაქტიკის დასრულების შემდეგ ხდება პრაქტიკის ანგარიშის დაცვა. უნდა აღინიშნოს რომ უნივერსიტეტის შენობაში განთავსებულია ტურისტული სააგენტო ,, აღმოაჩინე საქართველო", რომელიც აქტიურად მუშაობს უნვერსიტეტთან. სტუდენტთა უმრავლესობა გადის პრაქტიკას როგორ ,,შემომყვანი" , ისე ,,გამყვანი" ოპერატორის პოზიციაზე. რამდენიმე სტუდენტი კი უკვე დასაქმებულია ამ ორგანიზაციაში. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

- სასტუმრო თბილისი მარიოტი;
- სასტუმრო ჰოთელს&პრეფერენს ჰუალინგ თბილისი;
- შპს Blue Bird Travel;
- შპს Discover Georgia;
- შპს Discovery Georgia;
- შპს Geo City Travel;
- შპს ვერე პალასი;
- შპს ტრიადა;
- შპს ტურისტული კომპანია გლობუსი.

როგორც ინტერვიუს (დამსაქმებლებთან, სტაჟირების განმახორციელებელ ობიექტების წარმომადგენლებთან) დროს გამოიკვეთა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული პრაქტიკის კომპონენტი მრავალფეროვანია, თუმცა სასურველია კრედიტის მოცულობის გაზრდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა
- პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებისა და პრაქტიკული უნარების შეძენისთვის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტისთვის გათვალისწინებულია პრაქტიკა, თუმცა რეკომენდებულია კრკედიტის მოცულობის გაზრდა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს მისთვის რელევანტურ სწავლება-სწავლის მეთოდებს, რომელებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ფარგლებში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა

ტურიზმის პროგრამას აქვს სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა (უნივერსიტეტში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსი, ლექტორი და დრო მისი სურვილის და შესაძლებლობის მიხედვით, ლექციები ტარდება 4 ცვლაში). ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში იდენტიფიცირებულია გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები. უმრავლესობაში გამოიყენება სწავლების შემდეგი ძირითადი სწავლება-სწავლის მეთოდები : ლექცია, დისკუსია და ა.შ. თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები ;
- სწავლება-სწავლის მეთოდები ;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის მიხედვით სტუდენტის შეფასების პროცედურები გამჭვირვალეა და მაქსიმალურად ობიექტურია. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების მაქსიმალური ქულა - 100 : შუალედური შეფასება - 70 % და დასკვნითი შეფასება - 30%. შეფასების თითოეულ ფორმას გააჩნია მინიმალური ზღვარი (მაქსიმალური შეფასების 30%), რომლის გადალახვა აუცილებელია აღნიშნულ შეფასებაში დადებითი შედეგის დაფიქსირებისთვის. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის **seu.ini.ge** ფუნქციები: • სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასება; • ლექტორის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის მონიტორინგი; • სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; • სტუდენტთა და ლექტორთა ინფორმირება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. seu.ini.ge ავტომატურად ახდენს სტუდენტის მიმდინარე აკადემიური მოსწრების ქულათა დაჯამებას, მათ დასკვნით და განმეორებით გამოცდებზე დაშვებას და საბოლოო შეფასების გამოყვანას. შეფასების უწყისი ასახავს თითოეული სტუდენტის ყველა შეფასებას, რომელიც მან დაიმსახურა სემესტრის განმავლობაში. სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს ნებისმიერი შეფასება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით. სტუდენტი ელექტრონული კანცელარიის მეშვეობით აგზავნის განცხადება/საჩივარს, რომელსაც განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დრო არის მაქსიმალურად მცირე (1 სამუშაო დღე). ყველა სახის გამოცდა (წერითი, ტესტური, ამოცანების შემცველი და ა.შ) ბარდება უნივერსიტეტის კომპიუტერულ ცენტრში, შესაბამისად, გამოცდაზე გასვლა სტუდენტს შეუძლია საგამოცდო კვირის განმავლობაში მისთვის მოსახერხებელ დროს და ასევე შეუძლია აირჩიოს გამოცდების მისთვის სასურველი თანმიმდევრობა და აუდიტორია. ასევე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დასკვნითი გამოცდების რეგიონულ ცენტრებში ჩაბარების შესაძლებლობას. სტუდენტის საგამოცდო ნაშრომი და მისი შეფასება ანონიმურია. ასევე ხორციელდება სტუდენტების მუდმივი გამოკითხვები როგორც სწავლის ხარისხზე, ასევე კმაყოფილებაზე პროგრამით და ლექტორებით. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასურველია სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს მცირე ჯგუფებში, უფრო მეტი ეფექტურობისთვის/ხარისხისთვის და სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობის თვალსაზრისით. სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომები მოწმდება როგორც ხელმძღვანელის მიერ, ასევე იგზავნება რეცენზენტთან, რადგან განისაზღვროს ნაშრომის შესაბამისობა თემატიკასთან. ასევე უნივერსიტეტში იყენებენ ანტიპლაგიატის სისტემას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა seu.ini.ge;
- ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო პროცესი (სასემინარო/პრაქტიკული) მიმდინარეობდეს მცირე ჯგუფებში (25-30), უფრო მეტი ეფექტურობისთვის/ხარისხისთვის და სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობის თვალსაზრისით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ საკონსულტაციო საათები ყველა პროფესორთან და ასევე მიმართონ მათ ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ამ სისტემის მეშვეობით სტუდენტს ასევე შეუძლია შეავსოს ყველა საჭირო განაცხადი (მაგალითად სტატუსის შეჩერებისთვის) და მიიღოს შესაბამისი პასუხი, რაც ზოგავს მის დროს და უფრო ოპერატიულია. ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტს მიეწოდება ინფორმაცია უნივერსიტეტში დაგეგმილი სასწავლო, კულტურული, შემეცნებითი ღონისძიებებისა და დამსაქმებლების მიერ მოწოდებული ვაკანსიების შესახებ. ასევე სტუდენტებს მოსდით ტელეფონებზე მესიჯები ძირითადი ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებთან და აქტივობებთან დაკავშირებით. სტუდენტს შეუძლია აკადემიური რეგისტრაცია გაიროს უნივერსიტეტში მოსვლის გარეშე და აქვს აკადემიური თავისუფლება. აკადემიური რეგისტრაციისას სტუდენტი ხედავს, თავის საგანმანათლებლო პროგრამიდან რა სასწავლო კურსები აქვს ასათვისებელი სავალდებულო და არჩევითი მოდულებიდან. სასწავლო კურსების სალექციო დროების არჩევა ხდება სტუდენტის არჩევანისა და სურვილის შესაბამისად. სტუდენტების, თავის ელექტრონულ გვერდზე აგრეთვე, მიეწოდებათ ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ, გაცვლით პროგრამებისა თუ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში ჩასართავად, რაც ხელს უწყობს პროგრამზე ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ზრდას. უნივერსიტეტს აქვს სტაბილური და მყარი ურთიერთობები ტურიზმის და სერვისის დარგების დამსაქმებლებთან (მაგ. ჰუალინგი ჰოთელ, ლოპოტა სასტუმრო, მერიოტი და სხვა). ყოველი სტაჟირების შემდეგ საშუალოდ 1-2 სტუდენტი საქმდება სტაჟირების ადგილას. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს პერმანენტულად მიეწოდებათ ინფორმაცია შრომის ბაზარზე არსებული მათთვის შესაფერისი ვაკანსია/სტაჟირების შესახებ უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული საინფორმაციო საშუალებებით. ტარდება დასაქმების ფორუმები, სადაც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ეძლევათ

შესაძლებლობა გაეცნონ საქართველოს შრომის ბაზარზე არსებულ კომპანიებს და მათ აქტიურ ვაკანსიებს/სტაჟირებებს. ასევე უნივერსიტეტი სთავაზობს გაცვლით პროგრამებს. თუმცა რაოდენობრივად ჯერ-ჯერობით სტუდენტების ძალიან მცირე ნაწილი მონაწილეობს ამ პროგრამებში. რაც განპირობებულია ფინანსური მდგომარეობით, ინგლისური ენის დაბალი დონით და პირადი მიზეზებით. სასურველია უფრო მეტ გაცვლით პროგრამებში ჩართულობა მრავალფეროვნების მხრივ და სტუდენტთა კვლევით პროექტებში მონაწილეობის ზრდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა seu.ini.ge; ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა დატვირთვა, ფუნქცია-მოვალეობები და მათი სამუშაო აღწერილობები; ○ დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია უფრო მეტი გაცვლითი პროგრამის კომპონენტის ამოქმედება და მეტი შესაძლებლობები სტუდენტებს კვლევით პროექტებში მონაწილეობისათვის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოწვევა საჯარო ლექციებისთვის ○ საერთაშორისო კონფერენციებში სტუდენტთა ჩართულობის ზრდა და მონაწილეობის წახალისება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

□ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
აღწერა და შეფასება
მტკიცებულებები/ინდიკატორები

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 55 აკადემიური/მოწვეული პერსონალი, მათ შორის 19 აკადემიური, 36 - მოწვეული, აფილირებული პროფესორი 2, აფილირებული ასოცირებული პროფესორი 5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი პირები

პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა აკადემიური პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, საკონსულტაციო საათები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, აკადემიური პეროსანლი მონაწილეობს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში; ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სასწავლო პროცესში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება, მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში და ჩართულია პროგრამის განხორციელებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ○ ტურიზმის საბაკალავრი პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი (რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც); ○ პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ხდება უნივერსიტეტის „აკადემიური კორპუსის კვლევითი საქმიანობის შეფასების სქემის“ მიხედვით. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა საგრანტო სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს პერსონალს მიიღონ დაფინანსება სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი პროექტებისთვის. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი ატარებს ბიანუალურ სამეცნიერო რეფერირებად კონფერენციას, გამოიცემა საკონფერენციო მასალების კრებული, ჟურნალი "SEU&Science". როგორც ინტერვიუს დროს პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა უნივერსიტეტი/ფაკულტეტი ხელს უწყობს მათ პროფესიულ წინსვლას და სთავაზოს სხვადასხვა შესაძლებლობებს, როგორიცაა: გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, კვლევით პროექტებში ჩართულობა, ტრენინგებისა და workshop-ების ორგანიზება და ა.შ.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, ყოველი სემესტრის ბოლოს ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ; ესწრება ლექციებს სემესტრის მიმდინარეობისას; აკეთებს ანალიზს და რეკომენდაციებს წარუდგენს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს უტარებს ტრენინგებს აკრედიტაცია/ავტორიზაციის სტანდარტების, სწავლება-სწავლის მეთოდების, შეფასების სისტემის, სწავლის შედეგების გაწერის, ახალი საგამოცდო ელექტრონული ფორმატის დანერგვის და სხვა მნიშვნელოვან აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ემსახურება მათი პროფესიული და სწავლების უნარის განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური , სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და / ან სწავლების უნარის განვითარებას);
- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები ;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი ;

- აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასები სქემა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ კამპუსში. კომპიუტერული ოთახები წარმოდგენილია სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფით და ა.შ. მდიდარია უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი, ბიბლიოთეკაში განთავსებულია ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. უნივერსიტეეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ-საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების მომსახურებაზე.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს, კერძოდ: Cambridge Journals Online, e-Duke Journals Scholarly Collection, Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books, IMechE Journals, Royal Society Journals Collection, Openedition Journals, Scopus, Science Direct, ELSEVIER
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი; ○ ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ○ ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტში გათვალისწინებულია მატერიალურ-ტექნიკური რესურსის მუდმივი განახლება, ასევე ასახულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო მივლინებებისა და სტუდენტების დაფინანსება გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამების ხარისხის მართვის თვალსაზრისით პასუხისმგებელი დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურია, რომელიც ახორციელებს ხარისხთან დაკავშირებული საკითხების სისტემურ შეფასებას. უნივერსიტეტში გამოყენებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფუძნება PDCA მიდგომას. აღნიშნული მიდგომის გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაზღვრავს ერთი მხრივ, უნივერსიტეტის საქმიანობის შესამოწმებელ ხოლო მეორე მხრივ, შესაფასებელ საკითხებს. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება საგანმანათლებლო კვლევები რომლის მიზანია სერვისების, რესურსების, სწავლების, სტუდენტების აკადემიური მოსწრების, აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შესახებ არსებული ტენდენციების გამოკვეთა და შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა კვლევების განხორციელებისათვის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით იყენებს კვლევის, როგორც რაოდენობრივ ასევე, თვისებრივ ტექნიკას. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის უნივერსიტეტში შემუშავებულია სხვადასხვა კითხვარები: სტუდენტების სერვისების შეფასების კითხვარი, კომპეტენციების შეფასების კითხვარი დამსაქმებლებისთვის, კომპეტენციების შეფასების კითხვარი კურსდამთავრებულებისთვის, ინსტიტუციონალური შეფასების კითხვარი, რომლის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების იდენტიფიკაცია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაანალიზებულია კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები. შესაბამისად, იდენტიფიცირებულია როგორც ძლიერი ასევე, სუსტი მხარეები. რაც მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სტუდენტები სპეციალური კითხვარის საშუალებით აფასებენ უნივერსიტეტში არსებულ სერვისებს და

საგამოცდო პროცესს. რაც დასტურდება ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიუს შედეგად. კვლევის შედეგების ასახვა ხდება თვითშეფასების ანგარიშში. კვლევის შედეგების გაანალიზებაში და შეფასებაში ჩართულია თვითშეფასების ჯგუფი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი. რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტში არსებული პროცედურების შესაბამისად ხდება ცვლილებების განხორციელება. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველეყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს; პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარები; ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგები; ○ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის კვლევის ანგარიში; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; ○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება 0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად იყენებს უნივერსიტეტის ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებს. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამის გარე შეფასების მიზნით საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასებინა დარგის სპეციალისტებს. რომლის ფარგლებში მოხდა პროგრამასთან დაკავშირებული მოსაზრებების გაანალიზება.
ასევე, დაწესებულებამ გაითვალისწინა 2015 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ ფორმულირებული რეკომენდაციები და რჩევები. იგი გამოყენებულ იქნა პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში. საგანმანათლებლო დაწესებულება პროგრამის გარე შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად იყენებს შრომის ბაზრის კვლევას და დამსაქმებლების უკუკავშირებს. უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზის შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების და დახვეწის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში;
- დარგის სპეციალისტების დასკვნები;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ (სასწავლო უნივერსიტეტი) საბაკალავრო საფეხურის პროგრამის მონიტორინგისათვის და შეფასებისათვის იყენებს კვლევის შედეგებს. რომლის განხორციელებასაც უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება ხდება სტრუქტურირებული თემატური კითხვარების საშუალებით რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებს - სტუდენტები, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმატსაც, რაც მნიშვნელოვანია კითხვარების საშუალებით მიღებული შედეგების გადამოწმებისათვის. მთლიანობაში რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების გაანალიზების შედეგად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი კოორდინირებულია პროგრამის ხელმძღვანელთან. უნივერსიტეტში შემუშავებულია შეფასების სპეციალური ფორმა, რომლის საშუალებით პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალთან ერთად ახდენს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგიალურ შეფასებას. უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ შეაფასონ სასწავლო კურსები. შეიძლება ითქვას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული კვლევები საშუალებას იძლევა მოხდეს იმ საკითხების იდენტიფიკაცია, რომელიც საჭიროა პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ბუნებრივია, მონაცემების სისტემური ანალიზი და მისი შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საშუალებას აძლევს განახორციელოს ცვლილებები პროგრამის და უნივერსიტეტის საქმიანობის განვითარების მიზნით. საგანმანათლებო დაწესებულებას კვლევის შედეგების გათვალისწინებით იდენტიფიცირებული აქვს გასაუმჯობესებელი

საკითხებიც. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მუშაობს აღნიშნულ საკითხებზე და შემუშავებული აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარების სამოქმედო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“ (სასწავლო უნივერსიტეტი)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ტურიზმი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე</u>

ეკა დევიძე 

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი</u>

მერაბ ხოხობაია

მარიანა იმნაძე 

სოფო გულედანი